TİKA

თურქეთის რესპუბლიკა
პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია
თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო
თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისი

ნომერი : 14
საკითხი: მე-9 საერთაშორისო ოკუპაციური ჯანმრთელობისა და შრომითი უსაფრთხოების კონფერენცია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TİKA) თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისი გამოხატავს თავის ღრმა პატივისცემას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და აქვს პატივი აცნობოს შემდეგი:

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (TİKA) არის თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის აპარატზე დაქვემდებარებული საერთაშორისო ტექნიკური დახმარების ორგანიზაცია. 1994 წლიდან დღემდე თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TİKA) თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისი მოღვაწეობს საქართველოში და ახორციელებს პროექტებს განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და ა.შ. მიმართულებით.

მოგახსენებთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და ჩვენი ორგანიზაციის - თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდნაციის სააგენტოს (TİKA) მხარდაჭერით 2018 წლის 06-09 მაისს სტამბულის ჰალიჩის კონგრესის ცენტრში(თურქეთი) იმართება მე-9 საერთაშორისო ოკუპაციური ჯანმრთელობისა და შრომითი უსაფრთხოების კონფერენცია. კონფერენციაზე შრომით უსაფრთხოებასთან ერთად განხილული იქნება პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების პრევენციის 31 ქვეთემის საკითხები. მონაწილეებს საშუალება ექნებათ კონფერენციაზე განიხილონ კონკრეტული აქტუალური საკითხების მაგალითები.

კონფერენცია მიზნად ისახავს ოკუპაციური ჯანმრთელობისა და შრომითი უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაცნობასა და გაზიარებას წამყვან აკადემიკოსებს, ექსპერტებს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის.

კონფერენციაში მონაწილეობისათვის საქართველოდან ვიწვევთ ორ სპეციალისტს. მონაწილის საერთაშორისო ტრანსპორტირების, თურქეთში ცხოვრების, კვების და კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები ანაზღაურებული იქნება თურქული მხარის მიერ.

გთხოვთ, მონაწილის სახელი და გვარი, რეზიუმე(CV), პოზიცია, პასპორტის ასლი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ე-ფოსტა) გვაცნობოთ 2018 წლის 26 თებერვალს სამუშაო დღის ბოლომდე.

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TİKA) თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისი სარგებლობს ამ შემთხვევით, რათა კვლავ გაანუახლოს თავისი პატივისცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

პატივისცემით,

ჰუსეინ შანლი
TİKA თბილისის პროგრამის კოორდინატორი

30/01/2018 Koordinator Asistanı: Maka TRAPAİDZE

ს.მგალობლიშვილი ქ. №14, 0160 თბილისი/საქართველო დეტალური ინფორმაციისათვის : მაკა ტრაპაიძე
ტელ : (+995) 32 2 99-84-16 / 2 38-10-43 ელ-ფოსტა: tiflis@tika.gov.tr www.tika.gov.tr